

ი.მ. ნუგზარ უძილასური

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილა

ქვის დამამუშავებელი საწარმოს

სკრინინგის განაცხადი

ახმეტა 2021

შინაარსი

1. შესავალი	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება.....	3
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	11
3.1. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება.....	13
3.2. საწარმოს მუშაობის რეჟიმი	13
3.3. წყალმომარაგება წყალარინება.....	13
3.4. გამოყენებული ბუნებრივი რესურსები და მიღებული პროდუქცია	16
4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა- ფუნქციონირების პროცესში	16
4.1. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს მოწყობის პროცესში	17
4.2. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება	19
4.3. ხმაურის ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე.....	20
5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე	21
5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	21
4.5. ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე.....	22
4.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	23
4.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	23
4.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 24	
4.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	24
4.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	24
4.11. ავარიული რისკები	25
4.12. კუმულაციური ზემოქმედება.....	26
დანართები	27
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	28

1. შესავალი

ი.მ. ნუგზარ უძილაური ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. შახვეტილას ტერიტორიაზე, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 50.13.32.437) გეგმავს ქვის დამამუშავებელი საწარმოს მოწყობა ექსპლუატაციას.

რადგან სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საქმიანობის განმხორციელებლის შესახებ მოცემულია ცხრილში1

ცხრილი1.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმხორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმხორციელებელი	ი.მ. ნუგზარ უძილაური
საიდენტიფიკაციო ნომერი	08001005279
კომპანიის იურიდიული მისამართი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილა
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილა
საქმიანობის სახე	ქვის სახერხი საწარმო
საკონტაქტო ტელეფონი	551 90 11 57
გამოყენებული ნედლეული	ტრავერტინის ქვა
მიღებული პროდუქცია	ტრავერტინის ფილა და ბლოკი
სამუშაო საათები	2000 სთ/წელ

2. საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება.

ი.მ. ნუგზარ უძილაურის ქვის სახერხი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ შახვეტილაში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 50.13.32.437) (დანართი N1). ტერიტორიაზე დაპროექტებულია 110 მ²-ის ლითონკონსტრუქციის შენობა, რომელშიც გათვალისწინებულია ორი ქვის ლოდის დასახერხი, ერთი დასაფორმირებელი ხერხის და ერთი საპრიალებელი დაზგის დამონტაჟება.

საწარმოს განთავსების გეგმა მოცემულია N1 ნახაზზე.



ნახაზი 1.

ქვის სახერხი საამქროს განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია N2 ნახაზზე და N2 ცხრილში.



ნახაზი 2. წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2

წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	509113	4658623
2	509144	4658617
3	509149	4658597
4	509148	465890
5	509110	4658595

საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია N3 და N4 ნახაზებზე

განსახილველი ტერიტორია განთავსებულია სოფ. შახვეტილაში, მდ. ილტოს მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის ჭალისზედა ტერასაზე.

შენობის განთავსება დაგეგმულია ტერიტორიის სამხრეთ საზღვართან. საპროექტო ტერიტორიას ყველა მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ახმეტა - ჭართალას საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, 75 მ-ის დაშორებით. საავტომობილო გზასა და საპროექტო ტერიტორიას შორის განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ცენტრალური გზიდან საწარმომდე შემოდის გრუნტის გზა ტერიტორიის ჩრდილოეთის მხრიდან.

ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, 80 მ-ში განთავსებულია მდინარე ილტოს კალაპოტი (სურათი N1), მდინარის მეორე სანაპიროზე მთის ფერდობი. 255 მ-ში ტყის კონტური N200.54.54617 (ნახაზი N4)


დასავლეთის მიმართულებით 280 მ დაცილებით ასევე მდებარეობს ტყის კონტური N200.54.54615.

უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია დასავლეთით, უახლოესი საცხოვრებელ სახლამდე მანძილი 180 მ-ია.

სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან საწარმოს ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები (სურათი 3,4).

საპროექტო ნაკვეთზე წლების წინ განთავსებული იყო სახელმწიფო ელექტროსისტემის გადამცემი ხაზი, ამჟამად მეზობელ ტერიტორიებზე შემორჩენილია ლითონკონსტრუქციის და ბეტონის ბოძები. გადამცემი ხაზი გაუქმებულია და სადენები მოხსნილი (სურათი N5).

განსახილველი საწარმოს 500 მ-იან რადიუსში სამეწარმეო ობიექტი არ არის განთავსებული.



ნახაზი 3. სიტუაციური გეგმა.



ნახაზი N4



სურათი 1. ტერიტორიის აღმოსავლეთი მხარე.



სურათი 2. დასავლეთი



სურათი 3. სამხრეთი



სურათი N4 ჩრდილოეთი



სურათი N5. უსადენო ელექტრო ბოძი.

3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

ინდ. მეწარმე ნუგზარ უძილაურის მიერ დაგეგმილია ქვის დამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. საქმიანობის განხორციელების მიზნით, იმდ. მეწარმის მიერ დამუშავებულია პროექტი, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში.


პროექტით გათვალისწინებულია 2 მრგვალი ხერხის დ-1800 და დ-1600 მმ-იანი, ერთი კიდების ჩამოსაგანი 400 მმ-იანი ხერხის და ერთი საპრიალებელი დაზვის დამონტაჟება.

ტექნოლოგიური პროცესი იქნება სველი, ხერხვა და გაპრიალება იწარმოებს წყლის ჭავლის თანხლებით.

ტექნოლოგიური მოწყობილობების განლაგება მოცემულია ნახაზე N4.

საწარმოს ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მარტივი კონსტრუქციის შენობა, რომელშიც მოეწყობა ოფისი და მუშათა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ოთახი, სველი წერტილებით.

ნახაზი N4.



- ექსპლიკაცია**
1. საწარმოო შენობა;
 2. საყოფაცხოვრებო სათავსო,
 3. ჩ.წ.-ის სალექარი;
 4. წედლეულის მაქანი;
 5. ტელფერი;
 6. ზერხი 1800 მმ;
 7. ზერხი 1600 მმ;
 8. ზერხი 400 მმ.
 9. საპრიალეზელი;
 10. ბეტონის ღობე.

3.1. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება

ქვის სახერხი საწარმო მთლიანად განთავსდება 110 მ² ფართობის ლითონკონსტრუქციის შენობაში.

ნედლეულს წარმოადგენს ლიცენზირებულ კარიერზე მოპოვებული ტრავერტინის ქვები, რომლებიც შემოიზიდება ავტოთვიტმცლელების მეშვეობით და განთავსდება ნდლეულის ბაქანზე. ბაქანიდან დასახერხი ლოდი საჭირო ზომების გათვალისწინებით მიეწოდება (1800 მმ-იან ან/და 1600 მმ-იან) ხერხებს.

ამოხერხილი ფილებისა და ბლოკების დაფორმირება (კიდების ჩამოჭრა, ზომებზე დაჭრა) მოხდება ერთ 400 მმ-იანი სახერხი დაზგით. მიღებული დეტალის ან/და ფილის გაპრიალება ერთ საპრიალებელ დაზგაზე.

ტექნოლოგიური პროცესი სველია. წყლის აღება გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული მდ. ილტოდან. წყლის მომარაგებისათვის დაიდგმება ლითონის სამარაგო ავზში 5 მ³-ის მოცულობით. მოხმარებული წყალი შეიკრიბება საამქროში არსებული არხებით და მიეწოდება ჰორიზონტალურ სალექარს, რომლის განთავსებაც დაგეგმილია ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

3.2. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

საწარმოს ბიზნეს გეგმის მიხედვით ნავარაუდებია 3000 მ² ფილისა და 300 მ³ ბლოკის დამზადება, რისთვისაც საჭირო იქნება 1000 მ³-მდე ტრავერტინის ქვის ლოდის დამუშავება. საწარმო იმუშავებს დღეღამეში 8 საათს. სამუშაო დღეთა რაოდენობა შეადგენს 250-ს წელიწადში.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 5 კაცს, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

3.3. წყალმომარაგება წყალარინება

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ქვის ხერხვა-გაპრიალებას წყლის ჭავლის თანხლებით, ამდენად წყალი საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ნედლეულია. ტექნიკური წყალაღება გათვალისწინებულია მდინარე ილტოდან, შემდეგ GPS კოორდინატზე: x-509222, y- 4658719. წყლის მიწოდება მოხდება ლითონის ავზში, საიდანაც თვითდინებით მიეწოდება ტექნოლოგიურ პროცესს.

კომპანიის ბიზნეს გეგმის თანახმად, წელიწადში იგეგმება 3000 მ² ქვის ფილისა და 300 მ³ ბლოკის დამზადება, არსებული ნორმებისა და საწარმოთა მრავალწლიანი გამოცდილებით ერთი კვადრატული მეტრი ტრავერტინის ფილის მისაღებად საჭიროა 1-დან 3 მ³-მდე ტექნიკური წყალი. ამდენად საპროექტო წარმადობის შესაბამისად საწარმოს წელიწადში დასჭირდება 9900 მ³ ტექნიკური წყალი. საწარმოს სამუშაო საათების შესაბამისად საწარმოს ტექნიკური წყლის ხარჯი იქნება 4,95 მ³/სთ.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის აღება გათვალისწინებულია სოფლის წყალსადენის ქსელიდან, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. წყალაღრიცხვა განხორციელდება ქსელში დამონტაჟებული მრიცხველით.

საწარმოში წარმოიქმნება საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები.

საწარმო ჩამდინარე წყლები გამოყენების შემდეგ მიეწოდება ჰორიზონტალურ სალექარს. რომლის საპროექტო პარამეტრები შეადგენს: სიგრძე 8 მ. სიგანე 2,5 მ. სიღრმე 2 მ. საერთო მოცულობა 40 მ³, ხოლო მუშა მოცულობა 30 მ³-ს.

ტექნოლოგიაში გამოყენებული წყალი შეიკრიბება შემკრები არხებით და მეწოდება სალექარს. ტექნოლოგიური დანაკარგის გათვალისწინებით, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური მოცულობა იქნება 4,5 მ³/სთ.


სალექარის მუშა მოცულობის გათვალისწინებით, დალექვის საერთო დრო 6,5 საათია, რაც უზრუნველყოფს შეწონილი ნაწილაკების დალექვას 97-98 %-ით.

გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ილტომი, შემდეგ GPS კოორდინატზე: x-509225, y- 4658561.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არსებობს ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებისათვის მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომელიც გამოყენებული იქნება საწარმოს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის შესაკრებად.

წყლის გამოყენების სქემა მოცემულია ნახაზზე N5.

ნახაზი N5.



3.4. გამოყენებული ბუნებრივი რესურსები და მიღებული პროდუქცია

საწარმოს ძირითადი ნედლეულია ტრავერტინის ლოდები, რომელიც მოიპოვება ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფ შახვეტილას და მიმდებარე ტერიტორიაზე. საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში საწარმოში გადამუშავდება **1000 მ³-მდე** ტრავერტინის ლოდი, რომელიც შექმნილი იქნება უახლოესი ლიცენზირებული კარიერიდან.

ტექნოლოგიური პროცესისათვის აუცილებელია ტექნიკური წყალი, რომლის აღებაც გათვალისწინებულია მდ. ილტოდან. წლის განმავლობაში აღებული წყლის რაოდენობა იქნება **9900 მ³**.

საწარმოში დამონტაჟებული მოწყობილობების მუშაობისათვის აუცილებელია ენერგო რესურსი, რომელიც მოწოდებული იქნება ენერგოპროჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

ადამიანური რესურსები მოძიებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობიდან.

სხვა რესურსს საწარმო არ იყენებს.

საწარმოს ძირითად პროდუქციას წარმოადგენს ქვის (ტრავერტინის) სხვადასხვა ზომის ფილა და ბლოკი, დამკვეთის მოთხოვნილების შესაბამისად შესაძლებელია სხვადასხვა ფორმისა და ზომის, ასევე დამუშავების (გაპრიალებული ან გაუპრიალებელი) პროდუქციის წარმოება. დაგეგმილი წარმადობით გამოშვებული ძირითადი პროდუქციის რაოდენობა იქნება **3000 მ²** ფილა და **300 მ³** ბლოკი.

ქვის ხერხვის პროცესში წარმოიქმნება ქვის ჩამონაჭრელები, რომელთა დასაწყობება ხდება საკუთარ ტერიტორიაზე, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. მცირე ზომის ნატეხები გამოიყენება ტერიტორიის მოსაპირკეთებლად, ქვაფენილების მოსაწყობად, ასევე ღორღის საწარმოებლად. წლის განმავლობაში შესაძლებელია **300 მ³**-ის ოდენობით მცირე ნატეხების მიღება.

სხვა პროდუქციას საწარმო არ გამოუშვებს.

4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა- ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს

გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (180 მ) მდებარეობა.

4.1. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს მოწყობის პროცესში

საწარმოს მოსაწყობად საჭიროა ერთსართულიანი არამზიდი ლითონკონსტრუქციის შენობის აშენება.

სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს წერილობრივი საძირკვლების მოწყობას, რკინის საყრდენების მილების ჩამაგრებას და გოფირებული თუნუქის სახურავით გადახურვას.

მიწის ექსკავაციის სამუშაოების მოცულობა შეადგენს 20 მ³-ს. წერილობრივი საძირკვლების მოწყობის შემდეგ ამოღებული გრუნტის ნაწილი ჩაბრუნდება უკან, ნაწილი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსასწორებლად. საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა ბეტონის ბალიშები ხერხებისათვის. მოპირკეთდება შენობის შიდა და გარე ტერიტორია. მოეწყობა ტექნიკური წყლის შემკრები სისტემა.

მშენებლობის სამუშაოები გაგრძელდება 1,5 თვე.

მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება მძიმე ტექნიკის გამოყენებასთან საძირკვლების მოსაწყობად, საშემდგომე სამუშაოებთან. სამშენებლო მასალების (ლითონის და ბეტონის ხსნარის) და დაზგა-დანადგარების შემოზიდვასთან.

მასალების შემოზიდვა განხორციელდება ცენტრალური საავტომობილო გზით, გადაზიდვების საერთო რაოდენობა იქნება 10-მდე, რაც ვერ მოახდენს რაიმე გავლენას სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე.

სამშენებლო მოედანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის განთავსებულია ცენტრალური საავტომობილო გზა.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო მოედნიდან არაორგანული მტვრის და ტექნიკის ძრავის მუშაობის შედეგად საწვავის წვის პროდუქტების გაფრქვევა.

შენობის სიმარტივისა და მცირე მოცულობის გამო მიწის ექსკავაციის სამუშაოები გაგრძელდება ერთი დღე, ლითონის საყრდენების მოწყობისა და შედუღების სამუშაოები ერთი კვირა. ერთ კვირამდე დრო დასჭირდება გადახურვისა და მოპირკეთების სამუშაოებს. ხოლო დანადგარების მონტაჟს დასჭირდება 2 კვირა. 2 კვირა გათვალისწინებულია გარე ტერიტორიის მოპირკეთების, მყარი ღობის მოწყობის, ტექნიკური წყალმომარაგება/წყალარინების სისტემის მოწყობისათვის.

საწარმოს მოწყობის პროცესში ტერიტორიაზე არ იქნება სტაციონარული გაფრქვევის წყაროები, ერთდროულად იმუშავენ მხოლოდ ერთი ტექნიკა, შესაბამისად ატმოსფეროში გამოყოფილი წვის პროდუქტების რაოდენობა იმდენად მცირე იქნება, რომ გარემოზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

შედულების სამუშაოები გაგრძელდება ერთ კვირამდე ვადით. საპროექტო შენობის მცირე მოცულობის გამო საშედუმდებლო სამუშაოებიც იქნება მცირე, დღეში გამოყენებული შედულების ელექტროდის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 10 კგ-მდე.

შედულების პროცესში წარმოქმნილი შედულების აეროზოლის დღიური რაოდენობა და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G=20 \times 10 \times 10^3 = 0,2 \text{ კგ/დღ.}$$

$$M=0,2 \times 10^3 / 8 \times 3600 = 0,0069 \text{ გ/წმ}$$

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, გამოყოფილი მავნე ნივთიერების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ვერ მოახდენს გავლენას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მშენებლობის დროს ხმაურის წყარო იქნება მოძრავი ტექნიკა, მასალების შემოზიდვა-გადმოტვირთვის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ხანგრძლივობა ძალიან მცირეა, ამასთან სამშენებლო მოედანსა და უახლოეს მოსახლეს შორის განთავსებულია საავტომობილო გზა, ინტენსიური მოძრაობით, მიწის ნაკვეთების საზღვრებზე და გზის გასწვრივ არსებული მწვანე ზოლი, ამდენად ზემოქმედება მგრძობიარე რეცეპტორებისათვის იქნება შეუმჩნეველი.

სამშენებლო სამუშაოების დროს წყლის რესურსებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია ნავთობპროდუქტების დაღვრით, ნარჩენების გარემოში გაფანტვით. მშენებლობის პროცესში მკაცრად იქნება დაცული უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვის მოთხოვნები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკს.

მშენებლობის პროცესი დაკავშირებულია მიწის სამუშაოებთან. მშენებლობის ეტაპზე ნიადაგზე ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ილტოს ჭალისზედა ტერასაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის, რაც ასევე დადასტურდა წინასაპროექტო შესწავლის დროს გაყვანილი შურფით (სურათი N6). სადაც პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია მდინარეული ნალექებით, ქვიშა-ხრეში თიხნარის შემავსებლით.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

რაც შეეხება გრუნტის ხარისხზე ზემოქმედებას, მისი დაბინძურება ნავთობპროდუქტებითა და სხვა ნარჩენებით მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების დროს უსაფრთხოების დადგენილი ნორმებისა და ნარჩენების მართვის წესების უხეში დარღვევით.



სურათი N6.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო და მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა. მუნიციპალური ნარჩენებისათვის ტერიტორიაზე დაიდგმება კონტეინერი, ტერიტორიიდან გატანილი იქნება ახმეტის ააიპ სპეციალური სერვისების მიერ და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

მშენებლობის დროს მოსალოდნელია არასახიფათო ნარჩენების - რკინის ჯართის, ბეტონის ნარჩენების წარმოქმნა. ჯართი ჩაბარდება მის შეგროვებაზე უფლებამოსილ კუნქტებს, ხოლო არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე მოცულობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები, საღებავების ცარიელი კოლოფები. სახიფათო ნარჩენები შეგროვებული იქნება ჰერმეტიკულ კონტეინერებში, შემდგომი განთავსების მიზნით გადაცემული იქნება ნებართვიან ორგანიზაციებზე.

ნარჩენების სწორი მართვის შემთხვევაში გარემოზე ზემოქნედების რისკი ძალიან დაბალია.

4.2. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, ქვის ხერხვა ხორციელდება სველი მეთოდით. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე

ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. ამის გათვალისწინებით არ გვიმსჯელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ.

4.3. ხმაურის ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (ხერხები და საპრიალებელი) ლიტერატურული წყაროების მიხედვით აღნიშნული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებისას ხმაურის მაქსიმალური დონე აღწევს 90 დბა-ს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ობიექტის საზღვრიდან დაშორებულია 180მ-ით. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს დღის პერიოდისათვის 35 დბა-ს.

180მ-ით დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები გამოითვლება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg\Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 90 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=90-15lg180+10 lg1-10,5x180/1000-10 lg12,56 =90-33,83-1,89-10,99=43,29 \text{ დბა}$$

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელ სახლსა და საპროექტო საწარმოს შორის განთავსებულია მწვანე ზოლი, რომელიც უზრუნველყოფს შემცირებას 2-3 დეციბელით.

აღნიშნულს გარდა, საწარმოს დასავლეთ მხარეს მოეწყობა 2,5 მ სიმაღლის კაპიტალური კედელი. ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) მათი ეფექტურობა 25-30 დბა- შეადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლში საპროექტო საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე შეიძლება იყოს 25-30 დბა-ს ფარგლებში.

ამდენად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის ზემოქმედება იქნება დაბალი.

საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმო განთავსება დაგეგმილია ტერიტორიაზე, სადაც ლანდშაფტი მთლიანად ანთროპოგენურია, შენობის მოსაწყობად საჭირო არ არის ხე მცენარეების მოჭრა. ბუნებრივ ლანდშაფტზე უარყოფითი გავლენა იქნება ძალიან დაბალი, რადგან მგრძნობიარე რეცეპტორებიდან (საცხოვრებელი სახლი, საავტომობილო გზა) საპროექტო ტერიტორია არ ჩანს.

საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირებული არ არის ცხოველთა სახეობების, მით უმეტეს მსხვილი ძუძუმწოვრების არსებობა, მოსალოდნელია მხოლოდ სინანტროპული სახეობების გავრცელება.

ტერიტორიის დასავლეთით და აღმოსავლეთით განთავსებულია ტყის კონტურები, სადაც გავრცელებული არ არის საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან რაიმე კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლიარები. მდინარის ქალაში ძირითადად გავრცელებულია თხმელის (მურყანი) ჯიშის ხეები. ტერიტორიის მიმდებარედ მოზინადრე სახეობები შეგუებული არიან ანთროპოგენური გავლენის ზოლში ბინადრობას, ამიტომ მათზე მნიშვნელოვანი დამატებითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს მცირე მასშტაბის და დაბალი საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით საწარმოს საქმიანობა არ გაცდება საპროექტო ტერიტორიის საზღვრებს, ამდენად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოში წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის, სასმელ-სამეურნეო წყალი ხელშეკრულების საფუძველზე მოწოდებული იქნება ადგილობრივი წყალსადენის ქსელიდან.

საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ილტოდან შემდეგ საორიენტაციო კოორდინატზე $x=509222$, $y=4658719$. საპროექტო წარმადობის პირობებში, საწარმოს მიერ წლის განმავლობაში ბუნებრივი წყლის ობიექტიდან აღებული წყლის რაოდენობა იქნება 9900 მ³/წელ, რაც დღეში შეადგენს 39,6 მ³-ს. ხოლო საათში 4,95 მ³-ს (0,0137 მ³/წმ.). აღნიშნული რაოდენობით წყლის აღება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მდ. ილტოზე, რომლის საშუალო ხარჯი 6,5 მ³/წმ-ია.

საწარმოში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა.

ტექნოლოგიაში გამოყენებული წყალი შეიკრიბება წყალშემკრები არხებით და მიეწოდება მექანიკურ გამწმენდ ნაგებობას, რომელშიც სათანადო გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება მდ. ილტოში, შემდეგ კოორდინატზე: $x=509225$, $y=4658561$.

საპროექტო წარმადობის შესაბამისად, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური ხარჯი იქნება 4,5 მ³/სთ (0,00125 მ³/წმ).

დაპროექტებული გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სათანადო გაწმენდას. სალექარის მიმდებარედ მოეწყობა სალექარიდან ამოღებული შლამის ბაქანი, რომლის დრენირებული წყალი მიმართული იქნება სალექარში.

საწარმოში ჩამდინარე წყლების სწორად მართვის, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

რადგან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არსებობს კომუნალური კანალიზაციის ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებისათვის მოწყობილი იქნება საასენიზაციო ორმო, რომლის მომსახურებაც გათვალისწინებულია შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულების საფუძველზე.

4.5. ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე

როგორც 4.1. ქვეთავშია განხილული, საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის მიწის ნაყოფიერი ფენა, ამდენად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის. ამასთან ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსება დაგეგმილია შენობის შიგნით, საწარმოს ფუნქციონირების დროს მკაცრად იქნება დაცული ტერიტორიის საზღვრები, ამდენად ნიადაგზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გრუნტის დაბინძურება შესაძლებელია ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების დაღვრით, აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, ტერიტორიაზე შემოსვლამდე მოხდება

ავტომატური ვიზუალური დათვალიერება და პოტენციური საშოშროების შემთხვევაში იგი არ დაიშვება ობიექტზე.

გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია ასევე ნარჩენების არასათანადო მართვის გამო, რაც გამოირიცხება ნარჩენების სწორი მართვის პირობებში.

გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ტერიტორიის საზღვრების დაცვის შემთხვევაში ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

4.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა კატეგორიის, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში, ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება იქნება ახმეტის მუნიციპალური სამსახურის მიერ და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება, ნარჩენები წარმოიქმნება მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთების შედეგად, ასევე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად.

გამწმენდი ნაგებობის სალამე ნაწილის შევსების შემდეგ, მოხდება შლამის ამოღება რომელიც განთავსებული იქნება სალექარის გვერდით მოწყობილ დრენაჟიან ბაქანზე. დაგეგმილი წარმადობის შესაბამისად, წლიურად მოსალოდნელია 5 მ³ შლამის წარმოქმნა. შლამი შედგება ტრავერტინის ქვის მცირე ზომის ნაწილაკებისაგან, გაუწყლოების შემდეგ გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას ნაგავსაყრელზე განსათავსებლად.

საწარმოს მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ლითონის ჯართი ან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა.

საწარმოში წარმოქმნილი ყველა ნარჩენის მართვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდება წარმოქმნილი და მოსალოდნელი ნარჩენების ინვენტარიზაცია, ნარჩენები შეგროვდება სახეობისა და მახასიათებლების შესაბამისად ცალ-ცალკე. სახიფათო ნარჩენებისათვის გამოყოფილი იქნება სათავსო, შეგროვდება კონტეინერული სისტემით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

ნარჩენების სწორი მართვის შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი გავლენის რისკი ძალიან დაბალია.

4.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა ხორციელდება ავტოტრანსპორტით, სოფ. შახვეტილას და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული

ლიცენზირებული კარიერებიდან საწარმოში დასამუშავებლად შემოიტანება 1000-მ³-მდე ქვის ლოდი. შემოტანა ხორციელდება 8-10 მ³ ტევადობის ავტოტრანსპორტით. წლის განმავლობაში განხორციელდება 125 შემოზიდვა, რაც შეადგენს 3 დღეში ერთჯერ ინტენსივობას.

პროდუქტის გატანა ხორციელდება შედარებით მსუბუქი და დაბალი ტვირთამწობის ავტოტრანსპორტით, საშუალოდ დღეში ერთჯერ. ამდენად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია დღეში 1-დან 2-მდე გადაზიდვა. ცენტრალური გზიდან საწარმომდე ავტოტრანსპორტი არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

მომრაობის ასეთი ინტენსიობა ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვან გავლენას.

4.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო საწარმოს განთავსების ადგილიდან 2 კმ-ის რადიუსში დაცული ტერიტორია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის განთავსებული, აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. ნებისმიერი ახალი საწარმოო ობიექტის მოწყობა ასტიმულირებს სხვა კომპანიის მუშაობას, რაც გამოიხატება ნედლეულისა და საჭირო მასალების შეძენით, სხვადასხვა მომსახურეობის შესყიდვით.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით 5 ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

4.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმო შედის საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების“ ჩამონათვალში, ამდენად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა

ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან ტექნოლოგიური პროცესის დროს არ ხდება ტოქსიკური და სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა-გავრცელება. საწარმოში დასაქმებულებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისა და დაწესებული რეგლამენტის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, როგორცაა დანადგარების არასწორი მართვა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობა, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საწარმოს მომსახურე პერსონალის დაშავება, სახიფათო შედეგებით.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს თანამშრომლებს პერიოდულად ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, მუდმივად გაკონტროლდება დანადგარების ტექნიკური გამართულობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება. აღნიშნული მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

4.11. ავარიული რისკები

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესს თან სდევს ავარიების წარმოქმნისა და გავრცელების რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომატების შეჯახების საწარმოს სტაციონარულ ობიექტებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება ან ხანძარი.

ქვის დამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევასთან, ტექნოლოგიური დანადგარების ავარიულ დაზიანებასთან.

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული არ არის ფეთქებადი და აალებადი ნივთიერებები, ნედლეული და მიღებული პროდუქცია არ იწვის, ამდენად ხანძრის მიმართ საწარმო ნაკლებსენსიტიურია.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს სატრანსპორტო გადაზიდვები დღეში ერთს არ სცილდება, ასევე ზედმიწევნით იქნება დაცული ტექნოლოგიური დანადგარების

გამართულობის კონტროლი და უსაფრთხოების წესები, ავარიული სიტუაციების რისკები ძალიან დაბალია.

4.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

როგორც მეორე პარაგრაფშია განხილული, საწარმოს ირგვლივ, 500 მეტრიან რადიუსში სხვა საწარმოო ობიექტები არ არის განთავსებული, ამდენად კუმულაციური ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

დაწართებო

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მაქს (უბრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 50.13.32.437

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021186923 - 15/03/2021 17:19:09

შომზადების თარიღი
16/03/2021 00:43:02

საკუთრების განყოფილება

ზონა ახმეგა	სექტორი შახვევილა	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამზღვრული ფართობი: 1000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:50.13.32.283; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალიN 1 (დანგრეული)
50	13	32	437	

მისამართი: რაიონი ახმეგა , სოფელი შახვევილა

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020882939 , თარიღი 19/11/2020 12:46:50
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/12/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 დეკემბრის N514070 გადაწყვეტილება
- უძრავი ნივთის მუქების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:09/10/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
ნუგზარ უძილაური ,P/N: 08001005279

მესაკუთრე:
ნუგზარ უძილაური

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:
რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის

"ფინიკური პარის შერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დარღველების ქონების ხარჯვით მიღების სამომხადეო გადასახადო გადახდას ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკური პარი მათვე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შეუძრელებლობა წარმოადგენს საგადასახადო საინფორმაციო დანართს, რაც იქვეყნის პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაშთადობის გადასიწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამინაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, სერვისურ გერაგორულ ხარვესტრაციო საშახუნმა, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აგეორამებულ პარეობის;
- ამინაწერმა გვეწაკური ხარვესის აღმინების შემთხვევაში დავიკავმონდოთ: 2 405405 ან პირადად შერევი განიხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მზადან უკანონო ქსელების შემთხვევაში დავიკავმონდოთ ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმურ საკითხთან დაკავმონდობით მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge